ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 304

ქალაქი ქუთაისი 31 ივლისი 2024 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო
კომისიის ანგარიში 2023 წლის ივლისიდან 2024 წლის ივლისამდე
გაწეული მუშაობის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 28–ე მუხლის მე-3 პუნქტისა და „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილების დანართის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

მუხლი 1. შეფასდეს დამაკმაყოფილებლად ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ანგარიში 2023 წლის ივლისიდან 2024 წლის ივლისამდე გაწეული მუშაობის თაობაზე.

(საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის ანგარიში 2023 წლის ივლისიდან 2024 წლის ივლისამდე გაწეული მუშაობის თაობაზე წინამდებარე განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ——— ირაკლი შენგელია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

საქართველო ქ. ქუთაისის
ს ა კ რ ე ბ უ ლ ო
მას. № 145
„1“ 08 2024 წ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2024 წლის 31 ივლისის
№304 განკარგულების დანართი

ა ნ გ ა რ ი შ ი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო
კომისიის მიერ 2023 წლის ივლისიდან 2024 წლის ივლისამდე გაწეული
მუშაობის **შ ე ს ა ხ ე ბ**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისია თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" შესაბამისად, საკრებულოს რეგლამენტით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულებითა და სხვა ნორმატიული აქტებით.

საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისია აქტიურად არის ჩაბმული საკრებულოს სამუშაო პროცესში, მონაწილეობს საკრებულოში შემოსული პროექტების განხილვაში, ამზადებს შენიშვნებს, რეკომენდაციებს, დასკვნებს და რეაგირების მიზნით გადასცემს შესაბამის ორგანოებს.

კომისია შედგება 15 წევრისაგან.

საფინანსო–საბიუჯეტო კომისია აქტიურად იყო ჩართული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ფორმირებასა და ქუთაისის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვაში. 2024 წლის ბიუჯეტის პარამეტრების ფორმირებისას კომისიამ სამუშაო შეხვედრებში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურებთან ერთად მიიღო მონაწილეობა პარამეტრების შეთანხმების პროცესში.

2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტში აისახა კომისიის შენიშვნები და რეკომენდაციები, რომელიც შემუშავდა კომისიის 2023 წლის 24 ნოემბრის სხდომაზე წარმოდგენილი ბიუჯეტის პირველ ვარიანტთან დაკავშირებით. მიმდინარე წლის ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტს დადებითი რეკომენდაცია მიეცა 2023 წლის 25 დეკემბრის კომისიის სხდომაზე და მომზადდა შესაბამისი დასკვნა.

მუშაობის კოორდინირების მიზნით კომისიამ შეიმუშავა და 2024 წლის 30 იანვრის სხდომაზე დაამტკიცა სამუშაო გეგმა, რომელიც გახდა კომისიის ძირითადი სამუშაო დოკუმენტი. გეგმის მიხედვით, კომისიის სხდომებზე პერიოდულად იხილებოდა ანგარიშვალდებული ორგანოებისა და თანამდებობის პირების განვლილი პერიოდის საქმიანობა და სამომავლო პერსპექტივები.

წინასწარ ცნობილი განრიგის მიხედვით, ანგარიშვალდებული ორგანოები კომისიაში წარმოადგენენ ინფორმაციას, რომელიც განხილვის მიზნით, ეგზავნებათ კომისიის წევრებს.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩატარდა საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის 14 (თოთხმეტი) სხდომა. მათზე განხილულია 43 (ორმოცდასამი) საკითხი.

ჩატარებული ყველა სხდომა იყო საჯარო.

ჩაშლილი ან გადადებული არ ყოფილა საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის არც ერთი სხდომა.

ყველა მათგანზე იყო მოწვეული აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენლები.

საანგარიშო პერიოდში კომისიის მიერ მომზადდა წინადადებები და რეკომენდაციები ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესახებ, რომელიც მიეწოდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას. განხილული და შეფასებულ იქნა მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების [illegible] და შემუშავებულ იქნა შესაბამისი წინადადებები.

საანგარიშო პერიოდში განხილულ იქნა ბიუჯეტის 4 ცვლილება. აქედან, 2023 წლის ბიუჯეტს შეეხო ორი (მეოთხე და მეხუთე ცვლილება), მიმდინარე წლის ბიუჯეტის მიმართ განხილულ იქნა ასევე ორი ცვლილება (პირველი და მეორე). ყველა ცვლილებაზე კომისიის მიერ მომზადდა და საკრებულოს მიეწოდა დადებითი დასკვნა. განხილულ იქნა ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ინფრასტრუქტურული პროექტები, 2024 წლის ბიუჯეტში ინფრასტრუქტურული პროექტების მოცულობები და მათი მოსალოდნელი სოციალურ–ეკონომიკური ეფექტიანობა; კომისიის მიერ მომზადდა და მიეწოდა საჯარო ინფორმაციები სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებს მათი მოთხოვნის საფუძველზე (როგორც საკრებულოს მიერ მომზადებული კრებსითი ინფორმაციის ნაწილი); მოსმენილ იქნა ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებისა და თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული ორგანიზაციების ანგარიშები (ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის; სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვები; კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა; სოციალურ საკითხთა; საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების; მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურები; არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანება“, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანია“, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „მადლიერების სახლი“, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანება“, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ი.ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა“, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება“, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „სპეციალური სერვისები“, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქუთგანათების სერვისი“, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „მუნიციპალური ინსპექცია“, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ფოლკლორის ცენტრი–სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი“, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქალაქ ქუთაისში საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი“, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისის მე-4 შერეული პოლიკლინიკა“, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონი“, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საფეხბურთო კლუბი „მართვე“, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქუთაისის ხელბურთის კლუბი „ქუთაისი–2015“) განვლილ საანგარიშო პერიოდებში გაწეული მუშაობის შესახებ.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საფინანსო–საბიუჯეტო კომისიამ აქტიური სამუშაოები წარმართა „USAID-ის“ პროგრამასთან დოკუმენტის: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა (2024–2025 წ.წ.)“ ფორმირებასთან დაკავშირებით. აღნიშნული დოკუმენტი კომისიამ დაამტკიცა მიმდინარე წლის 25 მარტის სხდომაზე.

მიმდინარეობს მუშაობა და წინადადებების მომზადება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის დებულებაში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით.

საანგარიშო პერიოდში საფინანსო–საბიუჯეტო კომისიამ მერიის ცალკეული სამსახურებისა და მერიის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ანგარიშების განხილვისა და ანალიზის შედეგად მოამზადა და სარეკომენდაციო წერილებით მიმართა ქალაქის ხელმძღვანელობას სხვადასხვა საკითხებზე.

საფინასო-საბიუჯეტო კომისიის შემდეგი საანგარიშგებო პერიოდის ძირითადი პრიორიტეტებია: 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგთან დაკავშირებულ სამუშაოებში მაქსიმალური [illegible]ობის [illegible]ბრუნველყოფა; საკრებულოსათვის დასკვნების წარდგენა კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებული სამართლებრივი აქტების

პროექტებთან დაკავშირებით; ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების მონიტორინგი და ანგარიშგება (მათ მიერ ცალკეული პროგრამების განხორციელების მიმართულებით); სამართლებრივი აქტის პროექტების მომზადება და საკრებულოსათვის წარდგენა; ძირითადი პრობლემატური საკითხების შესწავლა–გაანალიზება შემდგომი რეაგირებისათვის, საჭიროების შემთხვევაში საკრებულოს სხდომაზე განხილვის მიზნით; 2025 წლის ბიუჯეტის საორიენტაციო პარამეტრების შემუშავებაში მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა; მჭიდრო თანამშრომლობა და აქტიური სამუშაოების წარმართვა „USAID-ის“ პროგრამასთან დოკუმენტის: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2023-2025“ შემდგომ რეალიზაციასთან დაკავშირებით; ფიზიკურ და იურიდიულ პირთა განცხადებების განხილვა, მათზე სათანადო რეაგირება.

შენიშვნა: წინამდებარე ანგარიში, 2024 წლის 31 ივლისს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 33-ე სხდომაზე წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ბაქარ მახარაძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე _____ ირაკლი შენგელია